


პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საპროლეტარიატო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმძღვანელო

კომიტეტი და პროლეტარიატო რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 თებერვალი, ხუთშაბათი, 1989 წ.

№ 33 (9952) ღარი 3 კაპა. გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


### ჩვენი მესტიიდან

ამ დღეებში ჩელიაბინსკის რიგზე გამართულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ჭაბუკთა პირველობაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლებზე წარმოგიხატებთ, ალბათ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელ ზურაბ ფალიანის წარმატების გახსენებით უნდა დავიწყოთ. საქმე მართლ ის კი არაა, რომ ურალელ მეტალურგთა ქალაქში, სადაც მის წონაში — 71

კატეგორიაში გამოდიოდა. ამ წარმატებას 1988 წელს მურმანსკიში გათამაშებული სსრ კავშირის თასზე მოპოვებული მესამე საპრიზო ადგილი მოჰყვა. ჩელიაბინსკში ზურაბს ხუთჯერ მოუწია რიგზე გამოსვლა და ხუთივე ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ძლიერი მეტოქე მას ნახევარფინალში ჰყავდა. ეს იყო თბილისის ჭაბუკ მოკრეფთა VII სეერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი, ლენინგრადელი ა. ბორისოვი, რომელსაც ზ. ფალიანმა დამარცხებულად სძლია, ხოლო ფინალში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა ხაბაროვსკელ ი. სანკოვთან ორთაბრძოლაში. ამ ტურნირზე ქართველმა სტუდენტმა სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა. სხვათა შორის, შშობლიურ მესტიის კრის მისდევს ზურაბის უმცროსი ძმა რამაზი, რომელმაც ამას წინათ გაიმარჯვა ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებში საქართველოში ორთაბრძოლაში მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა სპი-ის სტუდენტი ზვიად კავთაშვილი (75 კგ). ორივე სპორტსმენი ამ შეჯიბრებისათვის მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. გიორგაძემ და სპორტის ოსტატმა ი. არაბულმა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ქვეყნის პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ნაკრებში ჩარიცხეს ჩვენი მოკრეფები: ზ. ფალიანი, ვ. აბასოვი, ს. ჯაფარიძე, ზ. კავთაშვილი და კ. ესიანი. ნაკრები ფერგანაში ორკვირიანი შეკრების შემდეგ ჩაებმება სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობის ბრძოლაში, რომელიც ჩიშკენტში გაიმართება.

**ა. გიორგაძე,**  
ვ. ი. ლენინის სახელობის სპი-ს უფროსი მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.



ზ. ფალიანი

კგ — სხვადასხვა ქალაქის 25 მოკრეფე იბრძოდა გამარჯვებისთვის, არამედ ის, რომ აქ საქმად ძლიერმა შემადგენლობამ — მოიყარა თავი და მაინც მესტიელი მწვრთნელის ა. ჯაფარიძის აღზრდილმა დიდი უპირატესობით მოიგო ტურნირი. ამ ჭაბუკის გამარჯვება საქვეყნო ასპარეზობაზე პირველი შემთხვევა არ გახლავთ. დიდ რიგზე მისი წარმატებების დებიუტი ამ ორი წლის წინ შედგა, როცა დონეცკში საქვეყნო ასპარეზობაზე უძლიერესს სახელს დაეუფლა. მარშან კი დონეცკში პროფკავშირთა პირველობაზე ნახევარფინალში გავიდა და მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა. მაშინ ზ. ფალიანი 67 კგ წონით

### ველაზე ახალგაზრდა ოსტატის უპირატესობით

**ბაკურიანი.** (15 თებერვალი, ტელეფონით). ამიერიდან ახალგაზრდული თამაშები სპორტის სამინისტროს სახეობებშიც ჩატარდება. ბაკურიანში დაიწყო ამ პროგრამით გათვალისწინებული რესპუბლიკური ასპარეზობა, სადაც გუნდები ტერიტორიული პრინციპით გამოიან.

გაიმართა შეჯიბრება სწრაფდამბაში გაეგბისა და გოგონებისათვის (სიმაღლეთა სხვაობა ორივე გან 550 მ. იყო). ვაჟებში ჩინებულად იასპარეზა ბაკურიანელმა ზურაბ ჯიჩოვამ, რომელიც მარშან ქვეყნის ჩემპიონი გახდა თავის ასაკში. იგი 1973 წელსაა დაბადებული, ყველაზე ახალგაზრდა სპორტის ოსტატია ამ სახეობაში. ბაკურიანის ტრასაზე სტარტზე 35 ვაჟი გამოვიდა. ზურაბმა დისტანციის დაფარვას 1.10,80 წ. მოახლოდა და გაიმარჯვა. მეორე იყო თბილისელი სანდრო ანთაძე — 1.10,80. მესამე — გოჩა

პელიძე (მესტია) — 1.10,93. ჯიჩოვამ მეორე დისტანციაზეც (სწრაფდამბა კომბინირებულ ჩათვლისათვის) უძლიერესს სახელი მოიპოვა — 1.10,07, გოჩა პელიძე აქ მეორე იყო — 1.10,38. მესამე ადგილზე გავიდა გელა კოხანაშვილი (ბაკურიანი, თბილისი) — 1.11,66.

გოგონათა შორის სწრაფდამბაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ლელა ოგანეზოვა — 1.12,52, 2. სოფიკო პეტროსიანი (ორივე — ბაკურიანი) — 1.12,74, 3. ეკა უჩხვანი (მესტია) — 1.13,90. სწრაფდამბა კომბინირებულ ჩათვლისათვის: 1. პეტროსიანი — 1.13,78, 2. მერიკა პაპიკაშვილი (ბორჯომი) — 1.14,37, 3. ოგანეზოვა — 1.15,12.

შეჯიბრება კარგადაა ორგანიზებული. როგორც ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა გოგი ჯიჩოვამ განაცხადა, ახალგაზრდა სპორტსმენებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რათა სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.



### ტურნირი ბალაშავეს

**დუშეთის** რაიონის ქიდაობის სპორტსკოლის ძიუდოსტა გუნდის პოლონეთში (ქალაქ ბილგოში) მიიწვიეს ჭაბუკთა ტურნირზე. რომელსაც ცნობილი კლუბი „პოლონია“ ატარებს. ქართველ ძიუდოსტებს კარგი სახელი აქვთ და როგორც მასპინძლებმა აღნიშნეს, „თქვენმა მონაწილეობამ ტურნირი გააღამაზა“.

ბაზალთელმა ფალანგებმა (ქიდაობის სპორტსკოლა, რომელიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებას ეკუთვნის, სწორედ ამ სოფელშია გახსნილი), მასპინძლები მართლაც მოხიბლეს ოსტატური ქიდაობით და გუნდის რვა წევრი (ცხრიდან) საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ლევან უნდიაშვილი (57 კგ), გოჩა ფრიდონაშვილი (62), რამაზ ქადაგიშვილი (68), დავით პელიძე (ძმობი წონა), გიორგი ზამალაძე (53) და კობა თადიაშვილი (62) მეორე ადგილებზე გავიდნენ, ელგუჯა ხულებიძე (49) და გაიზ გურამიშვილი — მესამეზე. გუნდის მწვრთნელია სპორტსკოლის დირექტორი მერაბ ლოსყურაშვილი. ბილგოში ჩვენი მოკრეფების გარდა გამოდიოდნენ უკრაინის (3 გუნდი) და პოლონეთის (9 გუნდი) სპორტსმენები.



### ნაკრებოთი მთელი გუნდით

**გუნდების** ძალისა და კლასის მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, ქულები და მედლებია, მაგრამ, მოგახსენებთ, არანაკლებ ფასობს ისიც, ვის რამდენი მოთამაშე ჰყავს წარგზავნილი საქვეყნო ნაკრებ გუნდებში.

რეგისტრაცია წლიდანდელ სეზონს ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ქართველი გულშემატკივრები უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ — საქვეყნო ნაკრებ გუნდებში მიწვეულ ქართველ რეგისტრირებულ ერთ სრული გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება.

ჩვენი ქვეყნის რეგისტრირებულია ყურადღება, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრებისკენ იქნება მიყრდნობილი და არც თუ უსაფუძვლოდ — სამოყარულო რეგისტრირების სეერთაშორისო ფედერაციის პირველობებზე მოსაპარეზო საბჭოთა ნაკრები არასოდეს ისე ახლოს არ ყოფილა წარმატებასთან, როგორც ეს ფირას 1987-89 წლების გათამაშებაშია. თუ 20 მისის სტუმრად მოთამაშე ჩვენი გუნდი არ დამარცხდება საფრანგეთის ნაკრებთან

(ერთი შეხედვით, ეს ძველი მოცანა, მაგრამ არავინ იცის როგორ ნაკრებს გამოიყვანენ ფრანგები). იგი ფირას ჩემპიონი გახდება. ამ საპასუხისმგებლო სეზონისათვის მზადების პერიოდში პირველ ნაკრებში გამოძახებული არიან ბ. შვიანი, გ. ლოსაბერიძე, ნ. ძაგინიძე, ა. ხვედელიძე და ნ. ხუდაცი.

თავისი გეგმები და მიზნები აქვს საბჭოთა კავშირის სტუდენტურ ნაკრებსაც. გახსოვთ, ალბათ, მარშან რეგისტრირებულია უნივერსიტეტის დაზღვევის გუნდის ურიგოდ არ უასპარეზობია და მის შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის შვიდი წარმომადგენელი იყო. წელს ამ გუნდში ითამაშებენ ნ. მგელაძე, შ. ჯანელიძე, ი. კუსრაშვილი, გ. ლენინაშვილი, თ. ფხაკაძე და თ. ოდინარი.

არანაკლებ საპასუხისმგებლო სეზონი ელის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდსაც, რომლის შემადგენლობაში გამოვლენ ნ. გეგელია, გ. ოჯონიკიძე, ი. მეტრეველი, ბ. ლილიძე და ზ. გილოვანი.

ქათვან თანდაზვლი



### „საქართველო მავთოპროდუქტების სტარტაუტი“

თბილისის სპორტკომიტეტის თანხმობით

ასე უწოდეს თბილისის ელმავალშენებელი ქარხნის საკურორტო აუზში გამართულ მოცურავეთა შეჯიბრებას, რომელიც დასვენების დღეებში გამართული სპორტული ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლდათ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ასპარეზობა თბილისის სპორტკომიტეტმა რიგგარეშე შეიკრიბა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ამ აუზში მომეცადინე გამაჯანსაღებელი და სპორტული ჭაბუკების წარმომადგენლები. სარბიულზე 100-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის მოცურავე გამოვიდა. ასაკის მიხედვით გამარჯვებულიც ცალკე ვლინდებოდა. ისინი ერთმანეთს თავისუფალი სტილით ცურავს ეჯიბრებოდნენ. ასაკობრივ ჯგუფებში გაიმარჯვეს ვ. შევარდნაძემ, რ. კლიშკაძემ და ვ. ტურბელიძემ.

რაკი ამ აუზს ვესტუმრეთ, აქვე ერთ გარემოებაზეც გაიამაზილებთ ყურადღებას. ეს აუზი ღიაა და ამიტომ შე-

ჯიბრების მონაწილენი თავიანთი გაცურვის მოლოდინში, ამ სიცივეში, აბუზულეები იდგნენ, სხვა გამოსავალიც არ იყო — თქვენზე და სეერთოდ ლენინის რაიონში, მათ მეზობელ გლდანის რაიონშიც ეს აუზი ერთადერთია, რომელიც დღესდღეობით შეუფერხებლად მუშაობს.

ამ ბაზისთვის რამდენიმე წელია ძვირადღირებული წყლის გასაფლტრი მოწყობილობა ჩამოუტანიათ, მაგრამ მისი დამონტაჟება სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მოითხოვს, ამ საქმისთვის კი თავი აქამდე ვერ დაუდგამთ. ისეთი საწარმოსთვის, როგორიც ელმავალშენებელი ქარხანაა, ამის მოვარება ძველი არ უნდა იყოს, ალბათ, მათთვის პრობლემა არც აუზის გადახურვა იქნება.


იმედია, ყოველივე ამას საშველი დაადგება და მაშინ აუზს სამართაშიც იმდენი სტუმარი ეყოლება, რამდენიც ზაფხულში.

პირიბე გვარლიანი.

### 18 თვეებამდე...

თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კინოზღვის პარკი) ჩატარდება პირველი მთავარი საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირიზა რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქების შხანების პირველობის მორიგი შეხვედრები. როგორც იცით, ამ ტურნირზე უკვე ბაიკაპა 16 საუკეთესო გუნდის ვინაობა და 18 თვეებამდე სწორედ მირვედინალის პირველი შეხვედრები იქნება, ე. ი. შეჯიბრება უკვე ოლიმპიური სისტემით წარმართება, რაც, შეხვედრის შემდეგ, მისი სიზრჯვეს შესაძენს მას.

მეტოქე წყვილებია: ვინამპვინანტაარი (მცხეთის რაიონი) — ნორიო (ბარდაბნის რაიონი); მორდა (ბორნის რაიონი) — ზემო ქედი (ფითელი წყაროს რაიონი). დასაწყისი 14 საათზე.



### პირიზა „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი

ამას წინათ გამართულ დამფუძნებელ კონფერენციაზე, როგორც ვიუწყებოდით, ოფიციალური სტატუსი მიიღო თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი. კლუბი წლიდანდელ სრულ სამეურნეო აგარისზე გადადის. დამფუძნებელ კონფერენციაზე აირჩიეს კლუბის საბჭო, მაგრამ არ დაუფუძნებიათ პრეზიდენტი. და აი, გუნდი გაპართულ კლუბის საბჭოს პირველ სხდომაზე პრეზიდენტიც აირჩიეს.

ახალშექმნილ კლუბს სათავეში ჩაუდგება ოთარ წერეთი, რომელიც ბოლო 10 წელიწადი დღემდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფკავშირის იყო. იგი დაბადებულია 1940 წელს, დაამთავრა იგივე ინსტიტუტი, იქვე გაიარა გზა სტუდენტობიდან პროფკავშირში. „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტის თანამდებობა ხელფასიანია.

ვიტა-პრეზიდენტად საბჭომ აირჩია თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელია გუნდის უფროსი ვლადიმერ გუტაივი. პასუხისმგებელ მდივანად — გიორგი ჩოლოანი.



**„ლელო“** იტყობინებოდა, რომ დაწესდა ქართული ჰიდაობის დღე. რამაც სპორტის მოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ვინ მოსთვლის რამდენი სახელოვანი ფალავანი ჰყავდა და ჰყავს საქართველოს, მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო ნესტორ ესეგბუა გახლდათ.

სიღარიბემ ნესტორ ესეგბუა ბათუმში, როდესაც ქარხანაში ჩამოყვანა, ერთ დღეს ქარხანაში ბურთისებური ფორმის ტყვიის ზოდები მიუღიათ, რომლებიც 40-50 კილოგრამს იწონიდა, ისინი ნესტორს დანიშნულ ადგილამდე ორ-ორ ცალად მიჰქონდა. შუადღით, შესვენების დროს იგი რამდენიმე მუშას ზელში აიყვანდა და ასე დაატრიალებდა. სუსტს არავის დააჯანბინებდა, არც თავს დაჩაგვრინებდა ვინმეს.

რები აღფრთოვანებულ იყვნენ, მაყურებელმა მქუხარე ოცნა გაუმართა გამარჯვებულს.

არაბი მოჭიდავე გოცებელი იდგა და არენიდან არ გაღაოდა, კვლავ შეჩინებდა მოითხოვდა. ნესტორი კი თავის გულშემატკივრებთან ერთად გამარჯვებას ზემოხედა.

მიუხედავად ქარხნის მეპატრონის თხოვნისა, ნესტორ ესეგბუა დატოვა ბათუმი და ძველ ზენაქში თავის სოფელ სორტას დაუბრუნდა.

ესეგბუას გამარჯვება ბათუმის ცირკში მთელ საქართველოს მოედო, რამაც განაპირობა მისი შეხვედრა კულა გლდანელთან.

მათ შერკინებას ესწრებოდა ჩვენი სასიქაღულო პოეტი აკაკი წერეთელი, რომელმაც ლამაზ სტიქონებად აკინა ნ. ესეგბუას და კუ-

პირველობა არ ტარდებოდა, თორემ ვინ იცის, იქნებ შოთას იქაც მიეღწია წარმატებისთვის.

გავიდა დრო. ნესტორ ესეგბუა თავისი გჯუფით ეწვია ფოთის ცირკს, აფიშები იუწყებოდა: ისწრაფეთ ნახოთ ლეგენდარული მოჭიდავე ნ. ესეგბუა!

იმ დროს ბატონი ნესტორი ოჯახში გვეწვია, იგი მამაჩემის სიყრმის მეგობარი იყო. რა თქმა უნდა, სტუმრის საპატივსაცემოდ სუფრა გაიშალა. უნდა გენახათ, როგორ მღეროდა, როგორ ცეკვავდა რა სიტყვაჯამებულ სადღეგრძელებს წარმოთქვამდა ნესტორ ესეგბუა. იგი ღვინოს მოზრდილი სასმისებით სეამდა, მაგრამ არ ემჩნეოდა.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვიხილეთ მართლაც ლეგენდარული პიროვნება: მოგძობი სახე, ლამაზად შეკრებილი წვერით, მალალო, ახოვანი, მხარბეჭიანი, ვიწრო წელით, გრძელი ხელებით, კუნთოვანი მკლავებით, ტანთ ემოსა დაღესტნური წყლისფერი ჩოხა, შინდისფერი ახალხებით, ოქრო-ვერცხლით მოჭიდილი ჯამარ-ხანჯალი, ფეხს ემოსა მესტები წაღებით.

როდესაც ბატონმა ნესტორმა ჩემი ცეკვა ნახა, მამაჩემს სთხოვა, ჩემს საღამოში მიიღოს მონაწილეობა. უარს ვინ ეტყოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მეორე, ფოთის ცირკში ცეკვით არც ბატონი ნესტორი შემირკინებია და არც ფოთის საზოგადოებრიობა.

ცირკში იმ დღეს ურიცხვი მაყურებელი მივიდა, ნესტორის გამაჩინება არენაზე მაყურებელი ფეხზე ადგომით, მქუხარე ტანით შეეგება, ასპარეზობას თვით ნესტორი მსახობდა, რა თქმა უნდა, ერთნული სამოსით...

**ქპირადღესობა**  
**სპორტის**  
**ეპელასობის**



**დიდი** დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, გაიხსნა იზოდრომი. თითქოსდა ამ ხნის განმავლობაში მასთან შეიძლება შეგუება, მაგრამ იმ დღეებშიც კი, როცა დიდი არ ტარდებოდა, აქ უამრავი ხალხი იკრიბებოდა. რა აიძულებს გამგლელებს ნახიჯის შეხვედრას? ცნობისმოყვარებობა, აღტაცება თუ სურვილი, ცოტა ხნით მაინც იგრძნონ თავი ამ მშვენიერ სამყაროსთან წილნაყარად?

თბილისის იზოდრომის ყოველდღიური ცხოვრება ძალზე ადრე იწყება. მხედრება უკვე ექვს საათზე წრეზე არიან, შეიძინისთვის მოდიან მწვრთნელები და საცხენოსნო სპორტის მოყვარულები. მათ შორისაა ოთარ ქინქლაძეც, პროფესორი, პედაგოგიური მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „დროის“ მთავარი რედაქტორი.

— აგერ უკვე ოცი წელი ხდება, რაც იზოდრომზე დავდივარ, — ამბობს იგი. — ვქმენდ, ვახანაყებ, ვაქმენ ცხენებს და რედაქციაში მისვლამდე წრეზე რამდენიმეჯერ გაჯირთებებსაც ვასწრებ. კარგად მახსოვს ჩემი პირველი დღე იზოდრომზე, შიშო, როდესაც ცხენი ნივარდით „წავიდა“; მახსოვს პირველი წინაღობაც, რომელიც გადავლახე და ის შევების გრძობა, რომელიც შემდეგ დამეუფლა. ამ თავისებური გასტვირთვის გარეშე დღე დაკარგულად მიმაჩნია. მეგობრებს ზოგჯერ უკვირთ კიდევ: „როგორ არ გეზარება დილადრიან ამ სიმორხე სიარულით?“, „არ მეზარება“ — ვპასუხობ, და გვრძნობ, რომ ამ დროს ბედნიერი გამოხედვა მაქვს. დილით იზოდრომზე მისვლა ჩემთვის მართო ფიზიკური და ემოციური სიამოვნება არ არის. სწორედ აქ ვმოულობ იმ თვითდაჯერების გრძობას, რომელიც ასე სჭირდება ყოველ ჩვენგანს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ქინქლაძის ცხოვრებაში სპორტის ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. როგორც ყველა ბიჭუნა, კარგად ცურავდა — შეეძლო მტკვარი გადაეკურა, თამაშობდა ფეხბურთს. სპორტთან კავშირი არც შემდგომში გაუწყვეტია. მამინაც კი, როდესაც რესპუბლიკის განათლების მინისტრი იყო და საქმე თავისუფალად ჰქონდა.

ქინქლაძე დარწმუნებულია, რომ ფიზიკური კულტურა ადამიანის სიღრთო კულტურის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ამ საგნის სწავლებას სკოლაში. მისი ინიციატივით დილის გამაზვნელები ევრაზიში რესპუბლიკის სკოლებში გადაიკეთდა რადიოთი, დამკვიდრდა ევრო წოდებული დიდი შესვენებები, როდესაც ღლიმისგან დალოდ ბავშვებს ცოტა უფრო დიდხანს შეეძლოთ თამაში. სხვადა შორის, ბევრ ქართულ სკოლაში მოსწავლეებს ფიზკულტურაში სამინაო დავალებებსაც აძლევდნენ. ამ დროს გათვალისწინებულია ისიც, რომ ევრაზიისას ბავშვი დასახმარებლად მიმართავს მშობლებს და არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანიც „დაავადდება“ სპორტით. არის კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ქინქლაძემ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ოთარ ქორქიასთან ერთად მოიფიქრა — ეს არის კალათბურთის ფარები პატარა მანხალაგებით, რომლებიც ბურთის მიხარში მოხვედრისთანავე რეკვენ. ასეთი ფარები იდგება არამარტო სპორტულ დარბაზებში...

ერთხელ, როდესაც მორიგი ევრაზიის შემდეგ ბრუნდებოდა იზოდრომიდან, ოთარ ქინქლაძე ჩაფიქრდა იმ უსამართლობის შესახებ, რომ ცხენთან სიამოვნის ბედნიერება მხოლოდ ქუფროსებს ჰქონდათ. ნუთუ არ შეიძლება ეს სიხარული ბავშვებისთვისაც გავიწილადებინა?

და აი, თბილისის იზოდრომზე გაიხსნა საქართველოს განათლების სამინისტროს საცხენოსნო-სპორტული სკოლა (პირველი სსრ კავშირის განათლების სისტემაში. რედ.), რომლის შექმნაც დიდადელი თანხა დაიხარჯა: შეიძინეს 40 ჯიშის ცხენი, აშენდა თაღა, საკლასო ოთახები. რვა წლის განმავლობაში, რა თმა უნდა, სკოლის



ახეა ყოველდღიურად — ოთარ ქინქლაძე თბილისის იზოდრომზე.

პირველი აღსაზრდელებიც დაოსტატდნენ. ბევრი მათგანი სპორტის ოსტატი გახდა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ასობით მოზარდმა შეიყვარა ცხენი და საცხენოსნო სპორტი. განათლების სამინისტროს სკოლა ძალზე პოპულარულია თბილისში, ამჟამად აქ სამასი ნორჩი მხედარი მეცადინეობს. ოთარ ქინქლაძის დამსახურება ისიც, რომ ამგვარი საცხენოსნო სკოლები (უნდა იყოს ამ სკოლის სექციები. რედ.) გაიხსნას საქართველოს სხვა რაიონებშიც, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში კი კომეურნობამ გახსნა ასეთი სკოლა. იზრდება ინტერესი სპორტის ამ სახეობისადმი. ეს კი ქართველი ხალხის ეროვნული ტრადიციებისადმი მიბრუნების უტუჟარი დასტურია.

**ნ. მიხაილოვა,**  
„სპორტ ვ სსრ“, №5, 1988.

# სახალსო მოჭიდავე

ნესტორ ესეგბუა ქარხანაში ბევრი მეგობარი გაიჩინა. ერთხელ ქარხნის მეპატრონემ ნესტორს დიდი ღირებულება, თუ ასეთი ღირებულება ხარ, ბათუმის ცირკში არაბი მოჭიდავე ჩამოსული, შეერკინე და თუ წააქცევ, ნორმაზე ორ ულუფას დაგიმატებო (ნესტორს საყვები არ ჰყოფნიდა). როგორც გაირკვა, ქარხნის მეპატრონე ჰიდაობის დიდი ტრფიალი ყოფილა. ეს ქარხნის მუშებმა გაიგეს და ამხანაგის ქომაგობა ითავეს.

ცირკში ტევა არ იყო. მსაჯი გამოვიდა არენაზე და მოჭიდავეები იხმთ. არაბი მოჭიდავე სპორტულ კოსტუმში გამოვიდა, ხოლო ნესტორი—ეროვნულ სამოსში. მაყურებელი გაოცდა, მაგრამ ნესტორმა თავაზიანად დაუკრა თავი მოწინააღმდეგეს; ეს იყო სტუმრის მიმართ ქართველი კაცის ჩვეული პატივისცემა. რამდენიმე წუთში კი ნესტორი სპორტულ კოსტუმში იდგა საჭიდაო არენაზე.

დიდწყო ასპარეზობა, არაბმა მარჯულება მოიგო ნესტორი, მაგრამ იგი სხარტად გაუსხლტა ხელიდან. არაბმა მეტოქის კისრულზე წამოკიდება სცადა, ნესტორმა კვლავ დააღწია თავი ხიფათს. სტუმარი არ იტყობოდა, ესეგბუას რამდენიმე უცხო ფანდი ჩაუტარა, მაგრამ ქართველი მოჭიდავის დაკუნთულობა ხელმძმა და მუხლის სიმავემ უკუაგდო მისი იერიშები. შეხვედრის შემდეგ კი ნესტორმა ქართული ფანდი გამოიყენა, მეტოქე კისრულზე წამოიღო და ხალიჩაზე ბეჭებით გააკრა. ქარხნის მეპატრონე და მისი გულშემატკივ-

ლა გლდანელის მეტოქეობა საჭიდაო სარბიელზე (მას შემოკლებით გადმოგვიკმთ).

გამოდის კულა გლდანელი მხარბეჭა ტანშიშველია, ჯეირანივით ნავარდობს, მაღლა ზტის როგორც შველია.

ტანხედაც ერობო წაუჯვამს, რომ ვერ მთავლინ ხელია, მას ახვევია ამქრები, სუყველა მისი მშველია.

მეორე მხრიდან მეგრელი გამოძირა, როგორც ტურაო, რომ დაინახა გლდანელი, ლომივით მიამურაო:

მკლავებში ხელი მოავლო და ერობო აიკურაო, კინაღამ უტებად გაფუქდა და ბედი მიიმდურაო.

განზე გაუხტა მატყუარს, სისწრაფით მიიშორაო.

ამბობს: „ხელს ვეღარსად ვკიდებ, რა ცუდად მომდორაო“

მივარდა, გულში ხელი კრა, ბურთივით გააგორავო, ვეფხვივით ზურგზე აახტა, დათვივით მიიტორაო...

ნ. ესეგბუამ მრავალი ახალგაზრდა აზიარა ქართულ საჭიდაო ხელოვნებას, მათ შორის თავისი შვილები არსენა, შალვა, შოთა. შვილივით აღზრდილი ფოთელი მ. სირაძე და სხვები. შოთა თავისი მამის კვალს გაყვა, არაერთხელ მონაბო გამარჯვება საბჭოთა კავშირში გამოართულ სხვადასხვა ტურნირზე. იმ დროს მსოფლიო

სახელოვანი ქართველი ფალავანი ნესტორ ივანეს ძე ესეგბუა დაიბადა 1864 წელს სოფელ სორტაში (ახლანდელი ცხაკაის რაიონი). საჭიდაო ასპარეზზე გამოვიდა 1885 წელს. მას განსაკუთრებით პოპულარობა მოუპოვა კულა გლდანელთან შეხვედრამ. დიდი წარმატებით გამოდიოდა საქართველოში, რუსეთში და საზღვარგარეთ (პარიზი, სტამბული). აღიარებული იყო სახალსო მოჭიდავედ. ქართული პრესა დიდ ადგილს უთმობდა ნ. ესეგბუას ჰიდაობას, აკაკი წერეთელმა კი, როგორც უკვე ვთქვით, ნესტორს და კულა გლდანელს პოემა „ჭიდაობა“ (1888 წ.) უძღვნა. ნესტორი ქართული ჰიდაობის ტრადიციის შენახისწინავე წარმომადგენელი იყო. დიდ ძალასთან ერთად ახასიათებდა სისწრაფე და რაინდული მანერაც, წლების მანძილზე ეწეოდა ქართული ჰიდაობის პოპულარიზაციას, ზრუნავდა ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოკვლენასა და აღზრდაზე...

**ალექსანდრა ჯიჯიუშვილი,**  
საქართველოს სსრ და აჭარის ასრ დამსახურებული არტისტი.  
ბათუმი.

**ქ. თბილისის საჯარო სპორტული კლუბის**  
**სპორტული კლუბი**  
**„სინათლე“**  
**ინვესს მსურველებს**

თბილისის სპორტკლუბ „სინათლის“ ბაზებზე (ტელმანის, 8) ევროპული სატრანსპორტო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეები შეიკრიბებიან. აქ გაიმართება მსოფლიო შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში. სპორტკლუბის გამგეობიდან გვაცნობენ, რომ ეს იქნება ღია პირველობა, სადაც მონაწილეობის უფლება მიეცემა თბილისის ყველა შრომით კოლექტივს. დასაწყისი 11 საათზე.

იხილეთ. ამ თაოსნობა გამოცემურებიან თბილისის სპორტული კლუბები და ფიზკულტურული კოლექტივები.



**პასუხი „ლელოს“**  
**ქვედითობა**

**„ბარდაქმნა ლელიანურად“**

მიმდინარე წლის 14 იანვარს თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილის „ბარდაქმნა „ლელიანურად“, პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება; ლაგოლების აგროსამრეწველო გაერთიანებამ იმსჯელა ამ საკითხზე და დამნაშავე პირებს დაედოთ აღმინიხტრაციული სასჯელი. პირუტყვი გავყვანილია ფეხბურთის მოედნიდან და მასზე აღდგენილია სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

**პ. ბახტაძე,**  
ლაგოლების აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე.

**მოკლედ**

**ონეში** დაიწყო რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და სასოფლო-სამეურნეობის სპარტაქიად: მის პროგრამაშია სპორტის ათი სახეობა. მინიფეხბურთში 14 გუნდი იბრძოდა გამარჯვებისათვის. პირველი ადგილი დაიკავა სოფ. შეუბნის გუნდმა, მეორე — შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებამ, ხოლო მესამე — საგზაო საწარმომ.

**ნესტორ დუშუაშვილი.**

**ცნობისათვის:** ჟურნალი „სპორტ ვ სსრ“ მთელ მსოფლიოში ვრცელდება. გამოდის რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ფრანგულ და უზარულ ენებზე.







# პროპორციული ლიდა

**წაღებული** დასასრულს უახლოვდება მოქალაქე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი.

XII ტურში ყველაზე საინტერესო იყო ლიდერების ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატის ეკატერინე ფახიროვასა და წულუკიძის ოსტატობის კანდიდატის ინგა ხურცილავას შეხვედრა.

მეტოქეებმა ესპანური პარტიის ნაკლებად ცნობილი ვარიანტი გაითამაშეს. მიტელშილიში, დაახლოებით თანაბარ პოზიციაში, 28-ე სვლაზე, ფახიროვამ მოულოდნელად ფიგურა შესწირა მეტოქეს. ხურცილავა ერთხანს კარგად იცავდა თავს, მაგრამ მძაფრ ცაიტნოტში არაზუსტად თამაშობდა და დამარცხდა.

12 ტურის შემდეგ შეიძლება ერთპიროვნულად ლიდერობს ეკატერინე ფახიროვა — 11. შემდეგ მოდის ივეტა კურცხალია (ორივე — ქუთაისი) — 10,5. ინგა ხურცილავა (წულუკიძე) — 10. ეკატერინე კემულარია (აფხაზეთი) — 9.

## მეგობარი

## ფინალისტები

**მეგობარი.** შედეგის ამ ქალაქში გამართული კლასიკური სტილის მოქიდავება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის („მალარის თასი“) ფინალში გავიდა ექვსი საბჭოთა ათლეტი.

გორიშვილოვგარდელმა ოლეგ კუჩერავამ (48 კგ) დაამარცხა პოლონელი ანჯეი გლაბა, ევროპის 1985 წლის ჩემპიონმა ოპანეს არუთინიანმა (57 კგ) — მსოფლიოს ექსკემპიონი ნორვეგიელი ენ რენინგენი, სარანსკელმა გენადი აბმაკინმა (62 კგ) — გერმანიის წარმომადგენელი მარინ ბაუტენერი, ლენინაკანელმა მნაცაკან ისკანდარიანმა (68 კგ) — სამხრეთ კორეელი კიმ სუნ მუნი, ევროპის ორჯის ჩემპიონმა გროლოვსკამ ანატოლი ფედორენკომ (100 კგ) — იორგ კოტე (გერმ.).

დიდი ინტერესით მოელოდნენ სეულის ოლიმპიადაში გამარჯვებულ ალექსანდრე კარელინის (130 კგ) შეხვედრას 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონთან თომას იუპანსონთან (შვეიცია), მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. კარელინმა მეტოქე წმინდად დაამარცხა.

სხვა წონით კატეგორიებში პირველობა მოიპოვეს: ნორვეგიელმა ლარს რენინგენმა (52 კგ), შვედმა ტორგბიორნ კორნბიკმა (74 კგ), ფინელმა ტიმო ნიემიმ (82 კგ) და ვლადის წარმომადგენელმა მარკ ბულმანმა (90 კგ).

## ჩოგბურთის აგებები

**შარშაპის (აშშ).** „ვირჯინია სლიმის“ ტურნირის პირველ წრეში მსოფლიო უძლიერესმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა (გერმ.) 39 წუთში დაამარცხა სტეისი მარტინი (აშშ) 6:1, 6:1. ბულგარელმა მანუელა მალეევამ აჯობა ჩეხ ანდრეი პოლიოვას 6:2, 6:4, ნატალია ზვერევა — კამილა ბენჩამინს (აშშ) 7:5, 6:1, იუგოსლავიელმა მონიკა სელეშმა კი ლარისა საგჩეკოს 6:2, 6:0.

**შილანი.** გრან პრის პრიორაბით გათვალისწინებულ ჩოგბურთელ ვაჟთა ტურნირის სასტარტო შეხვედრაში ანდრეი ოლხოვსკი ფრანგ იანიკ ნოსთან დამარცხდა — 3:6, 7:6, 6:7, სამაგიეროდ, ანდრეი ჩერკასოვმა აჯობა მსოფლიოს მეთერთმეტე ჩოგანს ანრი ლეკონტს 7:6, 4:6, 6:3.



გამართა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკლასიკო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**მოსკოვი.** არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის კალათბურთელებმა აღმათელ თანაკლებლებს უმსაძინდეს. პირველი შეხვედრა ცსკა-მ მოიგო 85:77, თუმცა ტაიმი სამი ქულაით დათმო (37:40). მეორე შეხვედრაში ბრძოლა უარესად მძაფრი იყო და გამარჯვებული მხოლოდ ბოლო წა-

# სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში დიდი ანგარიშით

მეგზე გამოვლინდა, უძლიერესი ამგერადაც ცსკა აღმოჩნდა 93:91 (46:41).

**ვილნიუსი.** ბოლო შეხვედრებს მოსკოვის „დინამო“ აღმავლობით ატარებს. მას აქ გასვლითი მატჩი ჰქონდა „სტატიბასთან“, მთელი 40 წუთის განმავლობაში აქტიურად იბრძოდა და დამსახურებულ წარმატებასაც მიიღწია 82:58 (32:32).

**ტალინი.** თბილისის დინამოელ-

ები, რომლებმაც ადგილობრივ „კალეს“ რამდენიმე სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 70:119. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორთაბრძოლა უკვე პირველად ნახევარში იყო წაგებული, ვინაიდან „კალეს“ იგი 24 ქულით ჰქონდა მოგებული — 52:28.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	15	თებერვლისთვის
„დინამო“ (მოს.)	29	19 10 48
ცსკა	23	17 6 40
ასკ (ალმა-ათა)	24	15 9 48
„უალა“ (კაუნ.)	19	18 1 37
„კალევი“ (ტალი.)	25	12 18 37
„სტროიტა“ (კა.)	18	15 3 33
„დინამო“ (თბ.)	25	8 17 33
„სტატიბა“ (ვი.)	22	10 12 32
ვეფ (რივა)	27	4 23 31
„სპარტა“ (ლენ.)	24	6 18 30
რტი (მინსკი)	20	8 12 28
„ზახტ.“ (დონ.)	20	6 14 26

## ევროპის საკლასიკო ტურნირები

# პირველი რაუნდი

**კალათბურთში,** ისევე როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, სასურველ მოხანს აღწევს ის, ვინც ბოლომდე, მსაჯის საფინალო სასტენამდე იბრძვის. ეს თვისება არა მარტო გუნდის მორალური სიმტკიცის, არამედ მაღალი კლასის მაჩვენებელიცაა.

თსუების მფლობელთა თასის ნახევარფინალურ მატჩში კაუნასის „უალვირისი“ კაზერტას (იტალია) „სნაიდეროსთან“ შეხვედრის 32 წუთისთვის საკმაოდ დიდ უპირატესობას (24 ქულას) ფლობდა. ლიტველებს, რომლებიც შინ თამაშობდნენ, ეს უპირატესობა როგორც უნდა შეენარჩუნებინათ, რათა საპასუხო მატჩისთვის მშვიდად ყოფილიყვნენ. მაგრამ დარჩენილ დროში გუნდმა იმდენი შეიძლება დაუშვა, რომ ეს მარცხი გაქრა და 6

ქულამდე დავიდა — 86:80 (49:48). საპასუხო შეხვედრაში ექვსქულიანი სხვაობის ლიკვიდაცია კი იტალიელებისთვის, როგორც ჩანს, არ იქნება ძნელი საქმე, ყოველ შემთხვევაში მატჩის შედეგით დამარცხებულია მწკრთნელი კმაყოფილი ჩანდა.

იტალიის გუნდის ძალა, პირველ ყოვლისა, ბრაზილიელი ო. შშიდტისა და ბულგარელი გ. გლუშკოვის (ამ უკანასკნელმა ერთი მეზონი ნებას ჩემპიონატში ითამაშა) მაღალ ოსტატობაშია, რომლებსაც კარგად უბამენ შხარს იტალიის ნაკრების წევრები ფ. ჩენტილი და ვ. ეპსოზიტო. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს საპასუხო მატჩში იტალიელი „ტიფოზების“ მხარდაჭერაც, რომელმაც წინასწარობიდან შეიძლება გამოიყვანოს ნებისმიერი მეტოქე.

მაგრამ ჩვენ „უალვირისის“ შესაძლებლობებიც ვიცით, ოღონდ გუნდმა ფსიქოლოგიური მოზილიზაცია უნდა შესძლოს.

ერთი სიტყვით, საპასუხო მატჩი, რომელიც კაზერტაში ერთი კვირის შემდეგ გაიმართება, მრავალმხრივ საინტერესო უნდა იყოს.

ამ ტურნირის მეორე ნახევარფინალში, ზაგრებში მადრიდის „რეალმა“ დაამარცხა იუგოსლავიის „ციბონა“ 91:90 (47:53). სხვათა შორის, „რეალის“ ღირსებას იცავდა „ციბონას“ ყოფილი მითამაშე დრაჟენ პეტროვიჩი, რომელიც ამ დღეს ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო — 38 ქულა.

ნახევარფინალურს ცანმეორებითი მატჩები, როგორც ვთქვით, 21 თებერვალს გაიმართება.

# ჩოგბურთის პროფესიონალის ხელშეწყობა

**მალე** ჩვენს ქვეყანას ეწვევა ამერიკელი პროფესიონალი მოკრივეთა მწკრთნელების ჯგუფი. ეს იქნება ძალზე საქმიანი ვიზიტი. გაიმართება მოლაპარაკება საუკეთესო საბჭოთა მოკრივეების პროფესიონალებში ჩარიცხვის თაობაზე. ამერიკელები, რომელთაც შხარს უჭერს ცნობილი სავაჭრო კონტრები „მერლო“, პროფესიული რინგზე იწვევენ წამყვან საბჭოთა მოკრივეებს (71 კგ წონითი კატეგორიის ზევით). ამაზე უკვე არის სსრ კავშირისა და „სოციალური სპორტის“ წინასწარი შეთანხმება.

არინა ცნობილი ოსტატები: მსოფლიო ჩემპიონი ა. იაგუტინი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ვ. იაკოვლევი, ევროპის ჩემპიონი ა. გალკინი, ქვეყნის არაერთგზის აბსოლუტური ჩემპიონი რ. სიბიევი, აგრეთვე ის სპორტსმენები, რომლებიც მოსკოვის მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან — ი. აკოფკოხიანი, ი. ვაულინი და სხვები. თუ როგორ წარიმართება მათი კარიერა, ამას ბევრად განაპირობებს მოკრივეების გამოსვლები პროფესიულ რინგზე, რისთვისაც ჯერ, რა თქმა უნდა, მზად არ არიან. ამიტომ

ახალბედეები ძალს ცდიან პირველ ბრძოლებში, რომლებიც ოთხი სამსაშუაითი რაუნდისაგან შედგება.

არც კონტრაქტის პირობებია მთლად ცნობილი და მიზნც უკვე შეიძლება ლაპარაკი იმ სოლიდურ თანხაზე, რომელსაც ამ მოკრივეთა გამგზავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის სპორტსსკოში მიიღებს — 750 ათასი დოლარი.

თუმცა საქმე მარტო კომერცია როლმა, ჩანაფიქრის განხორციელება ხომ დიდად შეუწყობს ხელს ჩვენში კრივის განვითარებას.

# დღოვა გამოუსხადს

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ იტალიის მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა 65 წლის ტურინელი ადვოკატი პრიმო ნებოლო, რომელიც გარეულ აღმოჩნდა რამდენიმე სკანდალურ ისტორიაში და მსოფლიო ჩემპიონატის დროს სიგრძეზე

მტომელოა შედეგების ფალსიფიკაციაში. ნებოლოს იტალიის საზოგადოებრიობამ უნდობლობა გამოუცხადა.

როი ისტორიის შემდეგ ამ პოსტიდანაც გადადგებოდა. მაგრამ ამ დღეებში სინგაპურში მოეწყო საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც თავის პრეზიდენტს სრული ნდობა გამოუცხადა. იქ ფაქტიურად არჩევენ იგივეს. მაგრამ, ვინაიდან ნებოლოს გარდა პრეზიდენტის ადგილზე პრეტენზიას არავენ აცხადებდა.

# „სპორტპროფი“ მისხმა ბირაჟის პროგრამა (25-26 თებერვალი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიხიან კოპიში (უმაღლესი ლიგა)	პროფილი
1. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „ავტომობილისტი“ (ხვერდლოვსკი) 25.11	30 60 10
2. „სოკოლი“ (კიევი) — „სტატიბა“ (ჩელიაბინსკი) 25.11	70 20 10
3. ცსკა — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 26.11	70 20 10
4. „დინამო“ (რივა) — ასკ (ლენინგრადი) 26.11	70 10 20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბართიან კოპიში (უმაღლესი ლიგა)	
5. „ზორკი“ (კრანსგორსკი) — ასკ (ზაბაროვსკი) 25.11	60 10 30
სსრ საფეხბურთო კავშირის თასი	
6. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 26.11	10 80 10
7. „არარატი“ (ერევანი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 26.11	70 20 10
8. „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 26.11	20 50 30
9. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 26.11	10 50 40
10. „ჩერნომორცი“ (ოდესა) — „შახტორი“ (დონეცკი) 26.11	40 50 10
11. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (კიევი) 26.11	10 30 60
12. „პამირი“ (დუშანბე) — „დინამო“ (მინსკი) 26.11	80 30 10
13. „უალვირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (თბილისი) 26.11	70 20 10

# ფეხბურთი-90

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ამჟამად, როგორც ცნობილია, იტალიაში იმყოფება მილანის კლუბ „ინტერის“ მიწვევით. ჩვენი ფეხბურთელები აქ ემზადებიან და საერთაშორისო მატჩებსაც ატარებენ.

14 თებერვალს საბჭოთა ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა ქალაქ კონენეის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს მიხაილიჩენკომ (მე-12 წუთი) და პროტასოვმა (69-ე წუთი).

იტალიელი კომენტატორები აღნიშნავენ ბელანოვის, დემიანენკოს და, განსაკუთრებით, მიხაილიჩენკოს კარგ თამაშს.

საბჭოთა ნაკრებმა „ინტერთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჩანოვი, გორლუკოვიჩი, ალბინიკოვი, ზიგანტოვიჩი, დემიანენკო (ი. სავინევი), რაცი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო იარემჩუკი, პროტასოვი, ბელანოვი (ბოროდიუკი).

# სულიკეზი დაპატიმრეს

**საბარქანთის** ქალაქ სალონიკში დაპატიმრეს ფეხბურთის 17 გულშემოყვარელი, რომლებსაც ბრალად ედებათ სტადიონზე ხულიკანობა.

ადგილობრივი პოლიცია ეთამაშებოდა პირველი „ოლიმპიკის“. მატჩის დროს ტრიბუნაზე ატყდა ჩხუბი, პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა მინდორის ცენტრში თავი მოუყარა „ოლიმპიკოსის“ 300 გულშემოყვარელს, მაგრამ ზომავზე ჭარბად აგზნებული ქომაგების დასაწყნარებლად წესრიგის დასაცემად ცრემლმდენი გაზის გამოყენება დასჭირდა. ეს „პროცედურა“ დასრულდა 2 საათი გაგრძელდა. დიდი უწყისობიდან მოხდა ქალაქის ქუჩებშიც, სერიოზულად დაიჭრა 29 კაცი.

# „სპორტპროფი“

**07 ბირაჟის შედეგები (11-12 თებერვალი)**  
1—X, 2—1, 3—2, 4—1, 5—2, 6—1, 7—2, 8—1, 9—1, 10—X, 11—X, 12—1, 13—X.  
**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

# რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე

სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსი „ჩოგანთან“ არსებული იოგა სახალხო უნივერსიტეტი აცხადებს მსმენელთა მიღებას. უნივერსიტეტში ჩარიცხვებიან ის პირები, რომელთაც აქვთ უმაღლესი სამედიცინო ან ფიზკულტურული განათლება. სწავლების ვადა — 6 თვე, სწავლა ფასიანია. იოგა სახალხო უნივერსიტეტში ჩარიცხულნი შეისწავლიან იოგა-თერაპიას და ნატუროპათიას. ეს მათ საშუალებას მისცემს სწავლების კურსის გავლის შემდეგ წარმატებით გამოიყენონ და დაეხმონ სამედიცინო - თუ ფიზკულტურულ დაწესებულებებში აღმოსავლური მრავალსაუკუნოვანი სახალხო მედიცინისა და თანამედროვე უმედიკამენტოზო მეთოდების შემოღებაში. დაწესებულებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, დ. გურამიშვილის ქ. №13 (იპორტომის ტერიტორია), საორტულუბო „ჩოგანის“ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, იოგა სახალხო უნივერსიტეტი. **აღმინისტრაციის**

**ჩვენი მისამართი:**  
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**  
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამაგისტრო — 93-97-53, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

**5350**  
**06430**  
66435

საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოსურტური წესით საავტორო კორპუსში: სომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 10350